გამარჯობა, გამარჯვების მაისო!

მოგილოცავთ დღესასწაულს, მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ხუთშაბათი
1
მაისი
№ 102
(16228)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

საპირველმაისო მისალმება საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს საბჭოთა ხალხი მთელი პლანეტის მშრომელებთან ერთად აღნიშნავს პირველ მაისს — საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ ამ დიდებულ დღესასწაულს მუშებსა და კოლმეურნეებს, მეცნიერებს, ტექნიკოსსა და კულტურის მოღვაწეებს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს, რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებს, საბჭოთა ქალებს, სახელოვან ახალგაზრდობას — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა მოქალაქეს!

ჩვენი ქვეყანა წლევანდელ პირველ მაისს მასების შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ეგებება. საბჭოთა სამშობლო მტკიცედ მიდის წინ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული გზით. დინამიკურად ვითარდება სოციალისტური ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა, უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა, მტკიცდება საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური შეკავშირება, ჩვენი ხალხების მეგობრობა და ძმობა. კიდევ უფრო ვითარდება სოციალისტური დემოკრატია, რაც მკაფიოდ ვლინდება მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის გაშლილი მზადების დროს. წარმატებით სრულდება პარტიის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამა, იზრდება სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი და გავლენა.

საბჭოთა ადამიანებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ ლენინური პარტიის მიზნები და გეგმები ხალხის მიზნები და გეგმებია. ყველგან — ქალაქებსა და სოფლებში, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში დაძაბული შემოქმედებითი მუშაობა ჩქეფს. 1975 წლის განვლილ თვეებში პროდუქციის წარმოების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს მრეწველობის მუშაკებმა. სოფლის მეურნეობის მშრომელები ორგანიზებულად ასრულებენ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებს, ქმნიან მომავალი მოსავლის კარგ საფუძველს. პირველი კვარტალის შედეგები დამაჯერებლად მოწმობს, რომ საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საბჭოთა მთავრობა მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ ვმირი მუშათა კლასი, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია კიდევ უფრო მაღლა ასწევენ 1975 წლის და მთელი ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების დროშას. პატივი და დიდება ყველას, ვინც შთაგონებული შრომით განამტკიცებს სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას. აახლოებს ნათელ მომავალს — კომუნიზმს!

ახლანდელი პირველი მაისი ღირსშესანიშნავი თარიღის — ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების 30-ე წლისთავის წინ აღინიშნება. რაც უფრო მეტი დრო გადის მას შემდეგ, როცა გადაეკუნა ბრძოლების უკანასკნელმა ზალპებმა, მით უფრო მკაფიოდ მოჩანს მსოფლიოს წინაშე დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხისა და მისი მამაცი შეიარაღებული ძალების უკვდავი გმირობის სიდიადე. ჩვენმა სახელოვანმა ხალხმა პლანეტის თავზე აღმართა და ომის წლების ქარცეცხლში ძლევამოსილად გამოატარა დიდების შარავანდედით მოსილი ლენინის დროშა, დიდი ოქტომბრის დროშა. სოციალიზმის დროშა. ომისშემდგომმა სამმა ათწლეულმა ცხადყო, რომ სწორედ სოციალისტური საზოგადოება, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები არიან სოციალური პროგრესისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლის ავანგარდში. სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად ახორციელებენ ლენინურ საგარეო პოლიტიკას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა სავსებით მოიწონა პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მისი მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პრაქტიკული საქმიანობა. მოძმე სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიებთან ერთად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მედგრად იბრძვის ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და მეგობრობისათვის, იღვწის საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ვადრმავების ისათვის, შეუქცევად პროცესად მისი გადაქცევისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების, როგორც სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმის დამკვიდრებისათვის.

მშვიდობის დაცვა და განმტკიცება ხალხთა საერთო საქმეა. სამიდოდ რომ უზრუნველვყოთ მშვიდობა, საჭიროა მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის მუდმივი და აქტიური მეცადინეობა. ყველანი, ვისაც სურს თავისი ხალხის ბედნიერება, ვინც ზრუნავს კაცობრიობის ბედისათვის, მშვიდობისა და გონების იდეალების გამარჯვებისათვის საჭიროა იმპერიალისტური რეაქციისა და აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლთა მჭიდრო შეკავშირება.

პირველი მაისის დღეს მხურვალედ მივესალმებით და ვულოცავთ მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების მშრომელებს. სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული მათი წარმატებები მკაფიოდ მოწმობს სოციალიზმის დიად გარდამქმნელ ძალას.

ჩვენ კვლავ საჯაროდ ვუცხადებთ სოლიდარობას ჩვენს საზღვარგარეთელ ძმებს, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს. მუშათა კლასი და მისი მოკავშირენი კაპიტალის ქვეყნებში აძლიერებენ ბრძოლას თავიანთი საარსებო უფლებებისა და ინტერესებისათვის, სოციალური პროგრესისათვის, მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ავანგარდში კომუნისტები არიან. მტკიცედ მათი საბრძოლო სოლიდარეობა. ურყევია სამართლიანი საქმის გამარჯვების რწმენა.

მიეესალმებით ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებს. ჩვენი გულწრფელი სიმპათიები და მხარდაჭერა მათს მხარეზეა.

მაშ მოდით კვლავ განვამტკიცოთ თანამედროვეობის ყველა რევოლუციური რაზმის, მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ერთიანობას!

ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი, შეგებული აქვთ რა კომუნისტური აღმშენებლობის გზაზე დიად გარდაქმნათა მთელი უდიდესი მნიშვნელობა, ყველანაც თავიანთ ძალებს მოახმარენ თავისუფალი შრომის გამარჯვებისათვის, ხალხთა მტკიცე მშვიდობისათვის, სოციალური პროგრესისათვის ბრძოლას.

დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — მებრძოლ ხალხს, კომუნიზმის მშენებელ ხალხს!

გაუმარჯოს 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დიდი შეფასება, დიდი მოვალეობა

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წერილმა თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის კოლექტივისადმი, რომელსაც მეთაურობს სოციალისტური შრომის გმირი გ. კურტანიძე, ახალი წარმატებებისათვის აღაფრთოვანა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები

ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს მშრომელთა ყველა წარმატებაში, ყველა მიღწევაში განსაკუთრებით აისახა ზრუნვა ჩვენი დიადი პარტიისა, რომელიც მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. რასაც შარშან მიაღწიეს, რაც მოიპოვეს საქართველოს კომუნისტებმა, მშრომელებმა ამის ნათელი აღიარებაა ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის წერილი საქართველოს მეჩაიეებისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს მოლოცვა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში სპილენძის მადნის მომპოვებელი და გადამმუშავებელი ახალი საწარმოო კომპლექსის მშენებლობის დამთავრებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის გამო.

საქართველოს მშრომელებში უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია სახალხო-სამეურნეო პრობლემის გადაჭრისათვის იმ დიდმა ზრუნვამ, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება დიდი ობიექტების მშენებლობის შესახებ. ადრეული ამ გულთბილმა წერილებმა, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გამოუგზავნა ტყვარჩელის № 2 შახტის მოწინავე მაღაროელს, სოციალისტური შრომის გმირს ლ. ტყებუჩავას, ფოთის სავაჭრო ხაზღვაო ნავსადგურის უფროს მეამწეს გ. ვეგაუშვილს, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ მუშას ე. გალუსტოვას და მიუღოცა მათ საწარმოო წარმატებები.

და აი, როგორც გუშინ ვიუწყებოდით, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის კოლექტივმა, რომელსაც გ. კურტანიძე მეთაურობს, მიიღო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისასალმებელი წერილი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გულთბილ სიტყვებს უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ არა მარტო ამ ქარხნის, არამედ მთელი საქართველოს მშრომელები.

სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობენ ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის სახელოვანი წარმომადგენლები გაზეთის მეორე გვერდზე.

ხალხის რჩეულნი

გრძელდება დეპუტატობის კანდიდატების დასახელება

ახალქალაქი. ახალქალაქის მეთაურ ყველ-ქარაქის ქარხანაში გაიმართა საწარმოს მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზეც განხილულ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი.

კრება გახსნა მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მხდესიანმა.

არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მოვსესიანმა.

სიტყვა ეძლევა ქარხნის მუშას კ. აკოფჯანიანს. მას წინადადება შეაქვს საწარმოს კოლექტივისგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი. მან თქვა, რომ გ. დ. ჯავახიშვილი მთელი რიგი წლების განმავლობაში მეთაურობს რესპუბლიკის მთავრობას, ამ პოსტზე ყოფნისას იგი ბევრ რამეს აკეთებს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარების საკითხთა წარმატებით გადაწყვეტისათვის.

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭერეს მხარი ოსტატმა ა. მიქაელიანმა, საწარმოს დირექტორმა ნ. კოსტანმა, მძღოლმა შ. მაისურაძემ, ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ს. ავაქიანმა.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალქალაქის რაიონის № 118 ახალქალაქის საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი.**

თბილისი. გაიმართა საბჭოთა კავშირის ფ. ი. მენდელეევის სახელობის მეტროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალის კოლექტივის საერთო კრება, რომელზეც განიხილა საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელების შესახებ. ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 12 კომკავშირის საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **გენადი ვასილის-ძე კოლბინი.**

ქუთაისი. არჩევნებისწინა კრებამ, რომელიც ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხნის საამწყობო-საცდელ საამქროში გაიმართა, დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ქუთაისის № 228 ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქში დასახელა სოციალისტური შრომის გმირი **ბორის ილიას-ძე ვაშაკიძე.**

გაიმართა ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც განიხილა საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ. კრების მონაწილეებმა გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ქუთაისის № 229 ჯავშავაძის საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვიქტორია მოსეს ასული სირაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი **გიორგი ნიკოლოზის-ძე ჯიბლაძე** დასახელებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქუთაისის № 235 კროვის საარჩევნო ოლქში. ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორთა, მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთო კრებაზე.

ჰიათურა. სოფელ მანდაეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ჰიათურის № 217 სვერის საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ირაკლი ბესარიონის-ძე აბაშიძე.**

ჯუალტუგი. სანატორიუმ „მეგობრობის“ კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წყალტუბოს რაიონის № 241 ქალაქ საარჩევნო ოლქში დასახელა თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი **ნათელა შალვას ასული ვასაძე.**

ტყიბული. საქართველოს ქვანახშირის კომბინატის სტალინის სახელობის შახტის მოწინავე მეშახტე — **ავთანდილ ამბროსის-ძე ჭელიშვილი** დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს ქალაქ ტყიბულის № 247 ლენინის საარჩევნო ოლქში.

„საქშახტმშენის“ № 7 ტრესტის „ტყიბულშახტმშენის“ სამმართველოში გამართულ არჩევნებისწინა კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ტყიბულის № 248 ოქტომბრის საარჩევნო ოლქში დასახელეს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი **ოთარ დანიელის-ძე ჭინჭარაძე.**

მაიაკოვსკი. სოფელ წითელწყაროს ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მაიაკოვსკის რაიონის № 275 წითელწყაროს საარჩევნო ოლქში დასახელა ლიტერატურულ-მხატვრული ალმანახის „საუნჯეს“ მთავარი რედაქტორი, მწერალი **კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე ლორთქიფანიძე.**

ცაგერი. საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი **ნოდარ ვლადიმერის-ძე დუმბაძე** სოფელ ორწყლის კოლმეურნეობაში გამართულ საერთო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს ცაგერის რაიონის № 259 ორბელის საარჩევნო ოლქში.


ლუის კორვალანი

ჟანა მარტენ სილე


რაიმონ ე. მ. ე. გოლორი

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტში

ამა წლის 25 აპრილს გაიმართა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის სხდომა. სხდომას ხელმძღვანელობდა კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ნ. ბოლოხინი.

კომიტეტმა განიხილა შემოსული წინადადებები 1973-1974 წლების საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ და მიიღო დადგენილება ამ საკითხზე.

დადგენილება

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტისა

1973-1974 წლების „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდი დამსახურებისათვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიები მიენიჭოთ:

ლუის კორვალანს — სენატორს, ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს;

ჟანა მარტენ სილეს — გვინეის რესპუბლიკის საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს;

რაიმონ ე. მ. ე. გოლორს — კანონიკს, ბელგიის საზოგადო მოღვაწეს.

კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნ. ბლოხინი (სსრ კავშირი).

კომიტეტის წევრები: ბ. ბ. ბალეესანდროვი (სსრ კავშირი), ლუი არაგონი (საფრანგეთი), მირიამ ვირე-ტუომენენი (ფინეთი), რენატო გუტუზო (იტალია), ანა ზეგერსი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა),

1 მაისი

დიდი შეფასება, დიდი მოვალეობა

საქართველოს საზოგადოებრიობა მხურვალედ გამოეხმაურა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წერილს, რომელიც მან თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის კოლექტივს გამოუგზავნა

მადლიანი სიტყვა

პირდაპირ უნდა ვთქვა: არათუ გამახარა, არამედ ნამდვილად ამაღელვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ბრეჟნევის წერილმა. მისი კეთილი გულის სითბო და მზრუნველი უურადღება არასდროს არ აკლდა საქართველოს, მაგრამ განსაკუთრებით ეს ითქმის ამ ბოლო წლებზე, როდესაც ჩვენი ხალხის პატრიოტულმა სულისკვეთებამ, ეროვნულმა სიამაყემ ზურგი შეაქცია უახლოესი წარსულის მღვრიე ტალღას — განუკითხაობას, თავგასულობას, უპასუხისმგებლობას, და ჭეშეარა ახალ გზაზე გაიყვანა.

ამ დიდი გარდაქმნისა და გარდატეხის დროს ჩვენ მუდამ ვგრძნობდით ამხანაგ ბრეჟნევის მხარდაჭერას, მამობრივ ზრუნვას, რაც აორკეცებდა თვითეული ჩვენგანის ძალღონეს, სიკეთითა და სიმართლით ავსებდა ჩვენს გულს, რომ პარტიის ყოველი სიტყვა საქმედ გვექცია.

გაზაფხულის ამ სანატრელ დღეს შუბლგაშლილი ხვდება ქართველი ხალხი. დიდმა თავდადებულმა შრომამ საქმეს ბარაქა მოჰკიდა. ციფრებს რომ ენა ჰქონდეთ, ისინი ჩემზე უკეთესად და ლამაზად იტყოდნენ და უფრო ცხადად გამოარჩევდნენ იმ ნაყოფს, რომელიც ხშირად არ ყვირის, არ მღერის, მაგრამ დედამიწად უდგას ქვეყანას.

ამხანაგი ბრეჟნევიც ამ დედამიწის ერთ-ერთ ქართველ მშენებელს — სოციალისტური შრომის გმირს გიორგი კურტანიძეს და მის სახელოვან ბრიგადას ულოცავს შრომაში გამარჯვებას.

„ბრიგადის წევრები, — წერს ამხანაგი ბრეჟნევი, — რომლებიც დამკვრელურად ასრულებენ პირად დაპვალებებს, პირნათლად შრომობენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირის ნიკოლოზ გასტელოს მაგისტრალზე, რომელმაც სიცოცხლე შესწირა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და თქვენს მუშათა კოლექტივია ჩარიცხული“.

რამდენად ამაღელვებელია, რა ბევრის მთქმელია, რომ უშიშარი შეურარდენი გასტელო და ქართველი მუშები ძმად შეფიცულან და ერთი ბრიგადის წევრები გამხდარან.

რამდენი ქვეყანაა დედამიწაზე, რა ჯერის ხალხი არ ცხოვრობს ამ დუნიაზე. მაგრამ სად ნახავ ისეთ ამბავს, თვითეული ჩვენგანის სული რომ შესძრა: ერთმა აკეთოს ორი კაცის საქმე — თავისიც და იმისიც, ვინც ომის ჭარიშხალს ვერ გადურჩა, ვერ დაუბრუნდა თავის კერას, თავის მინდორს, თავის დაზგას. მხოლოდ დიდი გულის ადამიანს შეუძლია ასეთი ორმაგი ტვირთის გაწევა, მაგრამ ეს მარტო ტვირთი კი არ არის, ეს კიდევ იმასაც ნიშნავს, რომ ახალი სიცოცხლე დაუბრუნო სამშობლოსათვის დალუპულ გმირს და სამუდამოდ ამყოფო ცოცხლების სათვალავში.

რამდენად დაფასებულია საბჭოთა ქვეყანაში პატიოსანი და უანგარო შრომა! ყველაზე მეტად მოუცლელ კაცს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ბრეჟნევს მაინც უმოვნია რამდენიმე წუთი, რომ მადლიანი მარჯვენა თავიხი მადლიანი სიტყვით დალოცა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

ᲩᲕᲔᲜ ᲐᲦᲒᲕᲐᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲐ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წერილმა, რომელიც მან თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის კოლექტივს გამოუგზავნა, იმ კოლექტივს სოციალისტური შრომის გმირი გ. კურტანიძე რომ მეთაურობს, — ჩვენც — სოფლის მეურნეობის მშრომელებიც ახალი შრომითი წარმატებებისათვის აღგვაფრთოვანა.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ეს წერილი, რომელიც წინასაპრეზიდენტო დღეებში მიიღო გ. კურტანიძის ბრიგადამ, მაღალი მიჯნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორები. მათი ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ხუთწლედის მეთიანი დავალება 7 ნომბრისათვის შეასრულონ, ხოლო მიმდინარე წელს. ადრე ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული 2 მილიონი პროდუქციის ნაცვლად სამშობლოს გეგმის გადამტებით მისცეს 3 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას ყოველდღიურად ვამოწმებთ და სიამაყით უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტომშენებლები მიეკვლო პირობას ასრულებენ — ᲧᲨᲠ კიდევ 25 აპრილს შესრულეს ოთხი თვის გეგმა, ნაკისრი 3 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ანგარიშში უკვე წარმოებულია 1.100 ათასი მანეთის პროდუქცია.

ავტომშენებლები ახალ-ახალი წარმატებებით ეგებებიან ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავს. მთავარი კონვეიერის საამქროს აკრება-გამოცდის უბნის კოლექტივმა, სადაც მე ვმუშაობ, თავის რიგებში ჩარიცხა სამამულო ომის თავდადებული გმირები კაპიტანი ბუხაიძე და საბჭოთა კავშირის გმირი ნ. ადამია. ერთ დღეს 10 აპრილს მთლიანად მათს ანგარიშზე ვიმუშავეთ და გამოვუშვით 300 მანეთის პროდუქცია. გმირთა სამახსოვრო შრომითი ვახტი გრძელდება.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲕᲐᲣᲨᲐᲕᲘᲫᲔ,

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მძღოლი-გამომცდელი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

□

ᲗᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გულთბილი, ამაღელვებელი წერილი თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის კოლექტივს, რომელსაც მეთაურობს სოციალისტური შრომის გმირი გ. კურტანიძე, ეფიქრობ, გვეკუთვნის ყველას, საქართველოს ყველა მშრომელს. ამ წერილის მამობრივი სიტყვები აჟღერდნენ ამ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი ზეიმობს მაისის დიად დღესასწაულებს. ღრმად პატრიოტული, სამშობლოსადმი თავდადების გრძნობა ვეუფლება წერილის წამკითხველს, და უყოყმანოდ იღებ გადაწყვეტილებას, იშრომო არა მარტო შენი ძალისა და უნარის წყლად, არამედ აგრეთვე იმ პატრიოტის წილადაც, ვინც შინ ვერ დაბრუნდა და დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველზე დარჩა, გინდა გააკეთო ყველაფერი იმისათვის, რომ რესპუბლიკამ პირნათლად შეასრულოს პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებით დასახული მეცხრე ხუთწლედის დიადი ამოცანები.

ჩვენ, ქართველი მეცნიერები, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, მთავრობის მიერ მხარდაჭერილნი, ვიგულით მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მთელი ინტელიგენციის მხარდამჭერ, ახალი ენერგიით და შთაგონებით ვეძიებთ, და ვპოვებთ კიდეც, რომ ჩვენი შემოქმედებითი შრომა ხელს უწყობდეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

მე სულითა და გულით მინდა მივულოცო თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის კოლექტივს, ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ესოდენ დიდი შეფასება, რაც უთუოდ ახალი წარმატებების საწინდარია.

ᲡᲔᲠᲒᲝ ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲘᲫᲔ,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲗᲑᲝ

დღევანდელი საზეიმო განწყობილება გაგვიაოკეკიცა სოციალისტური შრომის გმირის გ. კურტანიძის მეკოპეთა ბრიგადის კოლექტივისადმი ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მისასალმებელმა წერილმა. ეს აღმაფრთოვანებელი მისალმება, რომელშიც გამოხატულია მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ზრუნვა, პატივისცემა და სიყვარული მუშათა კლასისადმი, მზრუნველი გულის სითბო, ყველა ჩვენთაგანს ეკუთვნის — რუსთაველ მეტალურგებს, თბილისელ ელექტრომშენებლებს და ფოლად-თუჯჩამომსხმელებს, ქუთაისელ ავტომშენებლებს და ზესტაფონელ ფერომნადებელებს, ბათუმელ ნავთობგადამამუშავებლებსა და ფოთელ კომეტამშენებლებს, ყველას, ვისაც თავისი თავდადებული შრომით ღირსეული წვლილი შეაქვს ხუთწლედის დაგალებების გადაჭარბებით შესრულებაში, რომ გეგმის გადამეტებით წლეულს ვაწარმოოთ 200 მილიონი მანეთის პროდუქცია, ხელდამშვენებული შეხვედეთ სკკპ XXV ყრილობას.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ჩემი თანამოსაქმეები, ქუთაისელი ავტომშენებლები მაღალნაყოფიერად შრომობენ. წინასამაისო დღეებში სასიხარულო ცნობა მივიღეთ მოსკოვიდან — ქარხნის კოლექტივი პირველი კვარტალის მაჩვენებლებით კვლავ, ზედიზედ უკვე მეთერთმეტედ გამოვიდა გამარჯვებული საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოპოვებულია პირველი ადგილი და პირველი ფუფალი პრემია.

ახლახან ავტომშენებლები ქალაქში პირველი გამოვიდნენ სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორები. მათი ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲜᲚᲘᲡᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ შეასრულონ, ხოლო მიმდინარე წელს. ადრე ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული 2 მილიონი პროდუქციის ნაცვლად სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 3 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ავტომშენებლები ახალ-ახალი წარმატებებით ეგებებიან ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავს. მთავარი კონვეიერის საამქროს აკრება-გამოცდის უბნის კოლექტივმა, სადაც მე ვმუშაობ, თავის რიგებში ჩარიცხა სამამულო ომის თავდადებული გმირები კაპიტანი ბუხაიძე და საბჭოთა კავშირის გმირი ნ. ადამია. ერთ დღეს 10 აპრილს მთლიანად მათს ანგარიშზე ვიმუშავეთ და გამოვუშვით 300 მანეთის პროდუქცია. გმირთა სამახსოვრო შრომითი ვახტი გრძელდება.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲕᲐᲣᲨᲐᲕᲘᲫᲔ,

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მძღოლი-გამომცდელი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

□

ᲩᲕᲔᲜ ᲐᲦᲒᲕᲐᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲐ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წერილმა, რომელიც მან თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის კოლექტივს გამოუგზავნა, იმ კოლექტივს სოციალისტური შრომის გმირი გ. კურტანიძე რომ მეთაურობს, — ჩვენც — სოფლის მეურნეობის მშრომელებიც ახალი შრომითი წარმატებებისათვის აღგვაფრთოვანა.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ეს წერილი, რომელიც წინასაპრეზიდენტო დღეებში მიიღო გ. კურტანიძის ბრიგადამ, მაღალი მიჯნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორები. მათი ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲜᲚᲘᲡᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ რაზმავს საქართველოს მშრომელებს.

მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად საქართველოს სოფლის მშრომელებიც ემზადებიან, რომ ახალი წარმატებებით შეეგებონ დიდი სამამულო ომის 30-ე წლისთავის ზეიმს. „იმ ახალგაზრდის მაგივრადაც“ — ამ ლოზუნგით ბევრი მშრომელი ჩაება ხუთწლედის დავალებათა გადამეტებით შესრულებისათვის ბრძოლაში. დიდ სამამულო ომის დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ჩვენს სოფელშიც ბევრი რამ კეთდება. მე და ჩემმა თანამოსაქმემ ნ. ჩოჩიამ გადავწყვიტეთ წლეულს სამი მესიმინდის ნორმა შევასრულოთ. მესამე ომში დაღუპული თანასოფელი ო. გვაზავა. პირადად მე ოთხ ჰექტარ სიმინდის ნათესს ვუვლი. ჰექტარზე 90 ცენტნერ მოსავალს მივიღებ. აქედან ერთ ჰექტარს ო. გვაზავას სახელზე ვამშვავებ.

იმედი მაქვს საქართველოს სოფლის მშრომელები, რესპუბლიკის მუშათა კლასთან ერთად ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მეცხრე ხუთწლიანი გეგმა დიდი გადამეტებით შეასრულონ. ჩვენი კოლმეურნეობის მესიმინდეები ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით 120 მილიონი მანეთის პროდუქციის წარმოების საქმეში საპატიო წვლილს შეიტანენ.

ᲜᲝᲔ ᲑᲝᲙᲐᲣᲩᲐᲕᲐ,

აბაშის რაიონის ნორიოს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის შესიმინდე, ლენინის ორდენოსანი.

ᲓᲐ ᲘᲒᲣᲒᲣᲜᲔᲑᲡ

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲐᲒᲐᲨᲘᲫᲔ,

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲩᲔᲛᲡ წინ დევს გაზეთ „კომუნისტის“ 1945 წლის 1 მაისის ფერგადასული ნომერი. მესამე გვერდზე დაბეჭდილია ჩემი ლექსი „ᲛᲐᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ“. ეს იყო დღეები იმ მრისხანე ომის მიწურულისა, როცა უკვე აღარავის ეშკი არ ეპარებოდა, რომ გამარჯვება მოპოვებული იყო და ფაშისტური გერმანია თავის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა.

ჩვენ ყველანი თითქოს რაღაც გაოგნებული ვიყავით, წუთი-წუთზე ველოდით მიტლერელთა კაპიტულაციას. შორეული გერმანიიდან ზარბაზნების გუგუნი ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხემდე აღწევდა და ბერლინის დაცემას საზეიმო სალუტის მოლოდინში გული სიხარულით ძგერდა. იმ ლექსიდან რამდენიმე სტრიქონი მინდა გავიხსენო, როგორც გამოხატულება ჩვენი მაშინდელი გამარჯვების მოლოდინის განწყობილებისა:

და ირგვლივ ისევ გრგვინვა გაისმის,
როგორც გუგუნი მიღიონ ზართა,
სჭექს და რისხვით ჰკუსს ჩვენი მაისი,
დამარცხებული ბერლინის კართან.

ეს ხმა მარადის ქუბად დარჩება,
ქიმნად დარჩება მზის, გაზაფხულის
და იგუგუნებს ეს გამარჯვება,
მარად დიდი და მარად ზღაპრული.

ეს გამარჯვება დიდი ხნის მძიმე, სისხლისმღვრელ ბრძოლებში თანდათან იკვეთებოდა. მისი პირველი ფურცლები ჯერ კიდევ მოსკოვის მისადგომებთან დაიწერა, ხოლო სტალინგრადის გიგანტომა ბრძოლამ საბოლოოდ განუმტკიცა იმედი საბჭოთა ხალხებს და მთელ პროგრესულ კაცობრიობას, რომ ფაშისტური გერმანიის განადგურება გარდუვალი იყო.

ჩვენი ძლევამოსილი არმია შეუნელებელი შტურმით წინ მიიწევდა და რუხეთისა და უკრაინის თვალუწვდენელ ტრამალებზე დანთებული ხანძრებით, ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის ველებზე დაძრული სისხლის მდინარეებით, საბჭოთა ხალხის იმ შეურყეველი რწმენით, რომ სიკეთის უნდა დაეთრგუნა ბოროტება, თანდათან ახლოვდებოდა სანატრელი გამარჯვების მაისი.

30 წელი თითქოს თვალსა და ხელს შუა გარბენილა, თითქოს გუშინ იყო სალუტებით გაჩახჩახებული თბილისის ზეცა, მოედნები და ქუჩები — მოზეიმე ხალხით სავსე, სახეგაბრწყინული ადამიანები ერთმანეთს ულოცავდნენ, ეხვეოდნენ, კოცნიდნენ და ცრემლებსაც ღვრიდნენ იმ დიდი სიხარულის გამო, რომელიც ბოლოს და ბოლოს მოვიდა და რომელმაც ბნელზე ნათელის საბოლოო გამარჯვება მოიტანა.

ამ 30 წლის განმავლობაში ჩვენი გმირი ხალხი ათასგვარ ტკივილს ძლევდა, ომისაგან მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა, დანგრეულსა და დაქცეულს აღადგენდა და აშენებდა, და იმათ უკვდავ სახელებსაც ერთი წუთით არ ივიწყებდა, ვინც იმ არნახული სისასტიკის ომში თავი დასდო ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად. ჩვენი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის. ქალაქებსა და სოფლებში მათს გმირობასა და თავდადებაზე მეტყველი ძეგლები და ობელისკები მრავლდებოდნენ, მათ სახსოვრად გაშენებულ პარკებსა და ხეივნებში ტანს იყრიდნენ ჭადრები და ალვასხეები, და მათი ნათელი გზის გამგრძელებელი ახალი თაობები იბადებოდნენ, იზრდებოდნენ, ეაუკაცდებოდნენ. ახლა ეს თაობები შინმოუსვლელი მამების დაზგებთან და ხარაჩოებზე დგანან, ზვრებსა და ჩაის პლანტაციებში ტრიალებენ, თავიანთი გმირული შრომითი სამშობლოს ამტკიცებენ და აშენებენ, როშლისთვისაც ასეულ ათასობით წმიდა სიცოცხლე დაიფერფლა.

ამ თაობებს ჭეშმარიტად რომ არა აქვთ უფლება ერთი წუთით მაინც დაივიწყონ იმათი გმირობა და თავდადება, ვინც ჩვენს სამშობლოს მონობის ფაშისტური უღელი აიცდინა, ვინც ჩვენი ხალხის სახელისა და დიდებისათვის საკუთარი სიცოცხლე უყოყმანოდ გასწირა.

ჩვენ გვახარებს ომში გამარჯვებული სამშობლოს ძლევამოსილება, მისი დღევანდელი დიდი თვალწარმტაცი მშვენიერება და გული იმედით გვაქვს სავსე იმის გამო, რომ სამამულო ომის გმირთა შთამომავლობა უფრო უმძიმესი და მშვენიერ ქვეყანას აშენებს ჩვენს საამაყოდ, ჩვენი მომავალი თაობების საბედნიეროდ.

უსაზღვროა დღეს ჩვენი ხალხის სიამაყე 1945 წლის მაისის ისტორიული გამარჯვების გამო. დღეს, როცა ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ დამამთავრებელი წლის ხარაჩოებზე და საკოლმეურნეო მინდვრებზე ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები გმირული შრომის სასწაულებს ახდენენ და ახალ-ახალ სიჩუქრებს უძღვნიან დიდა-სამშობლოს, როცა ჩვენი შემბლიური რესპუბლიკა მრავალი წლის მოდუნებული ცხოვრების შემდეგ კვლავ იპყრობს ახალ მწვერვალებს და მოწინავე მომბე რესპუბლიკათა შორის თავის კუთვნილ ღირსეულ ადგილს იბრუნებს, ჩვენი ხალხი აღსავსეა ღრმა რწმენით, რომ მისი ხვალინდელი დღე უფრო ნათელი, უფრო ბედნიერი იქნება.

გაზაფხულის მოსვლა, მწვანითა და ყვავილებით შემოგრძანება მაისის ნათელი დღეებისა ერთხელ კიდევ გვახსენებს იმას, რომ გაზაფხული და სიკვაბუკე მარად არსებობდა და იარსებებს, რომ თვითონ ჩვენი ცხოვრებაა კაცობრიობის ნანატრი გაზაფხული. ჩვენ კი ჩვენდა თავად ყველაფერი უნდა ვალონოთ იმისათვის, რომ ამ გაზაფხულის მზე კიდევ უფრო ცხოველმყოფელი იყოს, კიდევ უფრო შორს სწვდებოდეს მისი ნათელი სხივების შუქი, მისი მარადიუმქრალი ბრწყინვალება.



ᲚᲘᲓᲘ საწარმოო წარმატებებით შეხვდნენ პირველ მაისს რუსთავის მებრძმედებენი. მიმდინარე წლის ოთხ თვეში მათ ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს ოთხი ათას ტონაზე მეტი თუჯი. მებრძმედეთა ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ოსტატი რ. აბრამიშვილი, სოციალისტიბრძოლაში პირველი ადგილი დაიკავა საბრძმედე საამქროს რვა ბრიგადას შორის და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 500 ტონა თუჯი. მას მიეკუთვნა საამქროს წითელი დროშა. სურათზეზე: ბრიგადის წევრები (მარცხნიდან): უფროსი მექურე ხ. მაისურაძე, მეწყალსადენე ლ. გიგაშვილი, მექურე თ. მანგოშვილი, ბრიგადირი რ. აბრამიშვილი, მექურე უ. არბოლიშვილი და მემანქანე გ. ჩხეტიანი მიღებულ დროშას აღმართავენ პირველი ბრძმედის თავზე.

ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲬᲐᲣᲠᲒᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲭᲐᲮᲘᲫᲔ

ᲕᲘᲜᲔᲒᲘᲠᲣᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲗᲙᲐᲪᲔᲑᲘ

წუხელაც ძილში გადმოვშალეთ გულისნადები,
ყრმობამაც თავი შეგვახსენა თამაშ-თამაშით.
ხშირად, ო, ხშირად მესიზმრებით და მელანდებით,
ხან ზვარში ვხედავთ, ხან დიდ ჭალაში.
არ გამაგიჟოთ!
ანდა, რა ვთქვა! არც შემიძლია,
ბურანში მაინც არ გიხილოთ მხარგაშლილები.
ამ ბავშვებს უხმოდ ნუ უყურებთ, — თქვენი ღვიძლია,
თქვენი ცქრიალა შვილიშვილები.
ნუ გერიდებათ,
ნუ გაკვირვებთ ჩემებრ გაზრდილებს,
რომ გხვდებით ასე ძიასავით ჭაღარა კაცად.
ომმა გაგვთიშა,
მოყმე ვიყავ, რომ გაგაცილეთ,
თქვენმა დაკარგვამ თავზარი დაგვცა.
შერკინებულნი არგაგონილ ჭირსა და ვარამს
დარჩით სახელის შუქ-ნათელად შრომის არსენებს.
იმ ომის ციცხლთან შეჭიდებულს არ მიკვირს, არა,
რად მელანდებით, თავს რად მახსენებთ.
მას შემდეგ მამულს შევციცინებ თქვენი თვალითაც,
ვუმღერი ძმობას,
ვაკაცობას, ლაღ სიყმაწვილეს.
ერთვით ღირსების შეძახილად ჩვენს დიდ მამითადს,
ჩვენს გამარჯვებებს თქვენც ინაწილებთ.

ᲧᲐᲜᲐᲪ ᲓᲐ ᲖᲕᲐᲠᲘᲪ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ

რომ არ თქვათ, ვიცი,
აქ რა განძით მზექალობს დედა,
როგორ ცვლის მამა გაჯიქებულ ველ-მინდვრის ფერებს,
შევდივარ ზვარში, თავანკარობს... და უკვე ვხედავ
მაჭრის ბუხუნით გაბრუებულ მარანს და ქვევრებს.
შევდივარ ნამით გალაღებულ სიმინდის ტევრში
მზეც შიგ ჩამდგარა,
ცხრაკეთ თვალით ბრწყინავს და ხარობს.
დადის უებრო ნატვრისთვალი და ავსებს ეშხით
ულვაშაკოკრილ, ზურმუხტივით ხასხასა ტაროს.
ყანაც და ზვარიც დალოცილი ასეთი მიყვარს,
ასეთი სუნთქვით და ფერებით მიმღერის გული.
ვნანობ, აქამდე თუ არ მითქვამს ამ ხალზე სიტყვა,
ამ სილამაზეს,
ამ სიმდიდრეს ვინც ქმნის და უვლის.
ერთია მათი სულის ღონე, შრომის ღაღადი,
ფერი ფერს ერთვის, მინანაობს და არ თავდება.
ვგრძნობდი წინასწარ
რა იმედით რასაც ვნახავდი,
ვისი შვილების ნამოქმედარს და თავდადებას.
სინდის-ნამუსის მადლით არის განათებული
მათი ალალი, წმინდა ოფლით რაც ინამება.
ჯავარიანი სახელი აქვთ, გვარიც ქებული —
ბერლინი დასცეს მათმა მამებმა.

ᲛᲐᲘᲡᲝᲒᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ თვალწარმტაცი გარეუბნები და საქართველოს სხვადასხვა რაიონი. გარდა ამისა, მშრომელთა მასობრივი ექსკურსიები მოეწყობა ჩვენი რესპუბლიკის 200-ზე მეტი მაორბუტით.

დასვენების ზონებში მშრომელთა წასაყვანად გამოყოფილია სპეციალური ავტობუსები. დასვენების ადგილებში იქნება მოძრავი ბუფეტები, მოეწყობა ხილისა და მინერალური წყლების, ნაყინის, ხილის ორანჟადებული გაყიდვა; მშრომელთა წინაშე გამოვლენ მხატვრული თვითმოქმედების სუკეთესო კოლექტივები და თეატრები და ფილარმონიის მსახიობები, ლექტორები და მომზსენებლები; გაიმართება შეჯიბრები და კონკურსები სიმღერებისა და ცეკვების საუკეთესო შესრულებისათვის, შეჯიბრება სხვადასხვა სახეობის სპორტში.

განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი 2 მაისს აწყობს მშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა დასვენებას ქალაქგარეთ თბილისის ზღვის, ლისის ტბის, კუს ტბის, კოჯრის, წყნეთისა და სავარეჯოს რაიონებში. ასევე ლონისძიებებს მოაწყობენ აგრეთვე კვების მრეწველობის, მედიცინის, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ - საყოფაცხოვრებო, სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა და სხვა კომიტეტები, ცალკეული საწარმოები.

(საქინფორმი).

ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲐᲗᲔ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜᲔᲚᲘ სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის მინდვრები და ეენახები, რომლებიც გადაპენილა ნაყოფიერ შირაქის ველზე. მარტო პურეულს 3.500 ჰექტარი უჭირავს, ასობით ჰექტარზე მოსყავთ მზესუმზირა, სიმინდი, ყურძენი.

ბლაზნიდან მონაპირ ნელ სიოს მოაქვს ტრაქტორების გუგუნი, რომლებიც საგაზაფხულო კულტურების თესვას ამთავრებენ. თეთრ-ვარდისფრად გადაპენტილა ხილის ბაღები, ამწვანებულა ვენახები.

ოცდამეათე გაზაფხულს ხვდება კახეთის ერთ-ერთი დიდი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ბესარიონ კობაიძე, წელს მისთვის განსაკუთრებული გაზაფხულია...

სოფლის ცენტრში აღმართულ მემორიალურ კედელზე ბრინჯაოთი წარწერილია იმათი სახელები, ვინც ორმოცდაერთი წლის მრისხანე ზაფხულს ზემო ქედიდან ფრონტზე წავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა. სამას დაღუპულს შორის არის სანდრო, შალვა, ვანო და ნიკოლოზ კობაძეების გვარები. ომის ქარცეცხლიდან შინ მხოლოდ მეხუთე ძმა არსენი დაბრუნდა. მის გვერდითაც ხომ სიკვდილი დაბიჯებდა. იბრძოდა ბრიანსკის მიმართულებით, იმ ხოცვა-ჟლეტაში. დაიჭრა, ჰოსპიტლის შემდეგ ზემდეგი კობაიძე, როგორც ტანკის მეთაური, ეკიპაჟების საწერთნელად დატოვეს. შინიდან მოლბული წერილებით შეიტყო, რომ თანასოფლელებს ქვეყნის თავდაცვის ფონდში შეეტანათ 25 ათასი ფუთი პური, თავიანთი დანაზოგით აეშენებინათ ტანკი „ტ-34“ და უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა დაემსახურებინათ.

ორმოცდახუთი წლის გაზაფხულზე არსენ კობაიძემ კოლმეურნეობა ჩაიბარა. ახალ თავმჯდომარეს კარგად ესმოდა, რომ დადგა დრო, როცა შრომის მამა-პაპური მეთოდებით ბევრს ვერაფერს გახდებოდა, საჭირო იყო ცოდნა. არსენ კობაიძემ დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ავრონომიული ფაკულტეტი, ახალგაზრდობა გაგზავნა ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ზემო ქედში ხშირად ჩამოდიან ხოლმე სტუმრები. ისინი ჩამოდიან რჩევისათვის ადამიანთან, რომელიც რეფაათი წელია უცვლელად ხელმძღვანელობს მრავალდარგოვან მეურნეობას, რომელსაც აქვს აგურისა და ხე-ტყის სახერხი ქარხნები, სამეგლო სამაქრო, მანქანებისა და ტრაქტორების შესაკეთებელი სახელოსნოები, ორი სკოლა, კლუბი, სტადიონი, საავადმყოფო, ფოსტა, ტელეგრაფი. ყოველივე ეს აშენებულია ყოველწლიური შემოსავლის ხარჯზე. მარტო შარშან მეურნეობის საერთო შემოსავალმა 4.400 ათასი მანეთი შეადგინა, წმინდა მოგებამ კი 1.233 ათასი მანეთი. ზემო ქედის კოლმეურნეობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწეულთა გამოფენის მუდმივი მონაწილეა.

ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ პირველად კახეთის ველის რაიონში დაიწყეს ეენახების გაშენება. მარტო შარშან მწკრივთაშორისების ღრმად დამუშავების, სასუქების გაძლიერებული დოზით ვაზის გაპოხიერების მოხვებით მიღებული 15 ათასი ცენტნერი ყურძენი — კარგი საბუთია იმათ წინააღმდეგ, ვისაც ეს ნაკლებად სჯეროდა. კოლმეურნეობის მინდვრებში პირველად რესპუბლიკაში დაიწყეს უხვმოსავლიანი „ᲙᲐᲯᲘᲡᲘᲝᲜᲘᲡ“ ჯიშის ხორბლის მოყვანა.

ახლის გრძნობა, მოდმიერი სწრაფვა სრულყოფისათვის, მოპოხოვნელობა, კეთილმოსურნეობა და პრინციპულობა — აი რა ახასიათებს კოლმეურნეობის ხელმძღვანელს, საბჭოთა ქვეყნის პარლამენტარს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ — მარცხნიდან: ოცდამეათე გაზაფხულს ხვდება თავმჯდომარე; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ფრონტელი ა. კობაიძე — ხშირად ესტუმრება ხოლმე ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრებს; არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული.

ა. რუხაძისა და ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).





ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲢᲘ 1 ᲛᲐᲘᲡ

საიმედო ბურჯი

უცხოეთის კრეს სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ

□

საბჭოთა კავშირი, რომელიც მშვიდობის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ხალხთა ბრძოლის იდეალების ერთგულია, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შეუქცევადი გახადოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი და საერთაშორისო ურთიერთობის წორმად აქციოს ლენინური საგარეო პოლიტიკის სახელმძღვანელოთა მშვიდობიანი თანაარსებობა.

ასეთია მთელი მსოფლიოს პროგრესული და დემოკრატიული ძალების მიერ ჩვენი ქვეყნის ლენინური საგარეო პოლიტიკის ერთსულოვანი შეფასება დედამიწის ყველა კუთხეში.

დაძაბულობის შენელება, კერძოდ, საბჭოთა კავშირ ამერიკის ურთიერთობაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის უდიდესი დამსახურებაა. სკკპ თავის პოლიტიკაში ითვალისწინებს საერთაშორისო განვითარების ობიექტურ ფაქტორებს და ეს ძალას მატებს მის პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირი, რომლის მშვიდობისმოყვარეული პოლიტიკის გამომხატველია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, მთელ დედამიწაზე მშვიდობის ბურჯია.

„ უიმლდ მეგეზინ“, ნიუ-იორკი

საბჭოთა კავშირის საგარეოპოლიტიკური კურსი ემყარება მთელ რიგ სტრატეგიულ პრინციპებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ბრძოლას სოციალიზმის და კომუნიზმის გამარჯვებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებას, სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფას.

„ ათ-თალია“, კაირო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გაუხუჭელად იბრძვის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთიანობის განმტკიცებისათვის, მშრომელთა მასების ინტერესებისა და დაბალულობის შემდგომი შენელებისათვის.

„ დია“, მექსიკა

ოქტომბრის რევოლუცია, რის შედეგადაც შეიქმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, გზის მანათობელ ვარსკვლავად იქცა, რომელმაც გზა გაუნათა კაცობრიობას უკეთესი მერმისისაკენ. მან გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა კოლონიური ექსპლოატაციის სისტემას და ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების პირობები შექმნა. ჩვენს დროში საბჭოთა კავშირი მშვიდობის, სოციალური სამართლიანობისა და სოციალიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში დგას.

„ ხიდიგბა ოკტობარი“, მოგადიშო.

აზიის მტკიცე მშვიდობის კონტინენტად გადაქცევის იდეა, რომელიც სსრკ-ს საბჭოთა კავშირის ინიციატივით იქნა წამოყენებული, და რომელსაც აქტიურად დაუჭირეს მხარი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებმა, მთელი პროგრესული კაცობრიობის ყურადღების ცენტრშია და შარშან მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მისი ცხოვრებაში გატარებისათვის.

„ უნენი“, ულან-ბატორი

მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობასთან კავშირი, სადაც საბჭოთა ქვეყანა მთელ სოციალისტურ თანამეგობრობასთან ერთად გადამწყვეტ როლს ასრულებს, ის სტრატეგიული ფაქტორია, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული სიონისტურ-იმპერიალისტური ალიანსის წინააღმდეგ არაბი ხალხის სამართლიან ბრძოლასთან.

„ ას-საურა“, ბაღდადი

საბჭოთა კავშირი უდიდესი სავაჭრო პარტნიორი გახდა ყველა კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნისათვის.

„ პაეზე სერა“, რომი

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, იმპერიალიზმის, რასიზმისა და ომის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირების პოლიტიკას!

გაუმარჯოს სკკპ XXIV ყრილობაზე შემუშავებული მშვიდობის პროგრამის იდეებს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან.

კაკაკი გეწკაძე

სიცოცხლის ეწვიანე დრეშა

არც მარტოოდენ ბალახი,
არც მარტოოდენ ხენი,
ზეცა სავსეა ღიმილით,
მიწა სავსეა ლხენით,
მაისთან შეხმატკბილებით
მღერის სიცოცხლე ჩვენი.

აპრილმა მაისს გადმოსცა
სიცოცხლის მწვანე დროშა,
ეს დროშა ახლა ახარებს
ცას, დედამიწას, დრო-ჟამს.

მიწა თოვლქვეშაც არა სდუმს,
ჩუმი ღელენი იცის,
მაგრამ სულ სხვაა სიმღერა
აყვავებული მიწის.

ამ ოცდაათი წლის წინათ
მაისს სხვა ჰქონდა ფერი,
სულ სხვაა, ომგადახდილი
მიწა როდესაც მღერის.

მა ოცდაათი წელია,
კვამლი მოგვშორდა დენთის,
ცაში ვარსკვლავნი მღერიან
და ტირის ომის ღმერთი.

მიწამ გულლია, ალალი,
ტკბილი სიმღერა იცის,
მაგრამ სულ სხვაა სიმღერა
ომგადახდილი მიწის.

მაისო, თასი ავავსოთ
და ვადღეგრძელოთ ერთად
ტკბილი ღუღუნი მტრედების
და ზე — მშვიდობის დღეთა.

მაისო, ფუნჯი დავლოცოთ,
მზის შუქმდიდარი ფუნჯი
და — საქართველოს მთა-ბარი
თეთრი, მწვანე და ლურჯი.

ყანების ალალანებას,
მინდვრად—ყვავილთა ლაშქარს,
სიცოცხლის დროშის გალობას
ვაში და კიდევ ვაშა!

არც მარტოოდენ ბალახი,
არც მარტოოდენ ხენი,
დღეს ცა სავსეა ღიმილით,
მიწა სავსეა ლხენით,
მაისთან შეხმატკბილებით
მღერის სიცოცხლე ჩვენი.

მსოფლიო დღეს

საიგონის რეჟიმი დაემხო

ნიუ-იორკი, 30 აპრილი. (საკდესი). დღეს სახალხო შეიარაღებული ძალები შევიდნენ საიგონში. ამ მრავალმილიონიანი ქალაქის მცხოვრებლები სიხარულით შეხვდნენ თავიანთ განმათავისუფლებლებს. საიგონის რეჟიმმა იარაღი დაყარა. გენერალმა ზიონ ვან მინმა, რომელმაც რადიოთი გამოაცხადა კაპიტულაცია, თავის ჯარებს უბრძანა შეწყვიტონ ყოველგვარი წინააღმდეგობა და დაუყოვნებლივ დაყარონ იარაღი. შუადღისას სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა დიაკვეს პოზიციები ქალაქის ცენტრში. საიგონში სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ალამი აფრიალდა.

კაპიტულაციამდე ორი საათითადრე საიგონი დატოვა ამერიკის უკანასკნელმა სამხედრო ვერტმფრენავმა, რომელშიც ჩასხდნენ სამხრეთ ვიეტნამიდან გაქცეული მარიონეტული ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის მოხელეები.

ხელისუფლებას საიგონში შუადღიდან ანარქიელებს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი. ახალ ხელისუფალთა ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება საპყრობილეებიდან.

ჰანოი, 30 აპრილი. (საკდესი). დღეს ჰანოიში გამოქვეყნდა უკ საპირველმაისო ლოზუნგებში ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კავშირს, სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, ყველა მეგობარი სახელმწიფოს მთავრობებსა და ხალხებს, მსოფლიოს ყველა ხალხს, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და სამართლიანობა, გულწრფელ მადლობას უძღვნის უდიდესი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რომელიც მათ გაუწიეს ვიეტნამს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მშვიდობა — ევროპას

ლიეჟი, 29 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). მეორე მსოფლიო ომის დამთავრების ოცდაათი წლისთავის წინ შეკრებილნი, ჩვენ მივესალმებით ყველა იმათ მეცადინეობას, ვინც იღწვის ჩვენი კონტინენტის მშვიდობის განმტკიცებისათვის, ნათქვამია ხაბოლოო დეკლარაციაში, რომელიც დღეს მიიღეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის მებრძოლი საზოგადოებრივი ძალების მეორე ასამბლეის მონაწილეებმა.

.უკანასკნელი წლების მანძილზე ევროპა შევიდა თავისი ისტორიის ახალ პერიოდში, აღნიშნულია შემდეგ დოკუმენტში. პრობლემები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში კონფლიქტის მუდმივ საფრთხეს ქმნიდნენ, ყველასათვის მისაღებად წყდება მოლაპარაკების გზით.

დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თაობირის დამამთავრებელი ეტაპი დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს უმაღლეს დონეზე და რომ მისი შედეგები დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის გზაზე.

ამავე დროს საჭიროა საზოგადოებრიობის დიდი მეცადინეობა, რათა შეიქმნას ურთიერთნდობის ატმოსფერო, აღმოიფხვრას „ცივი ომის“ შედეგები და შეუქცევადი გახდეს დაძაბულობის შენელება.

ასამბლეის მონაწილენი გამოთქვამენ აზრს, რომ საჭიროა გაღრმავდეს პოლიტიკური დაძაბულობის შენელება, რომელთანაც ერთად უნდა მოხდეს სამხედრო დაძაბულობის შენელება და შეწყდეს გაბალებული შეიარაღება. საჭიროა განვავითაროთ ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობა, აცხადებენ ისინი, ხელი შევუწყოთ დემოკრატიის განმტკიცებასა და ფაშიზმის ამოძირკვას, საერთაშორისო დაძაბულობის კერების ლიკვიდაციას, მივაღწიოთ იმას, რომ დაძაბულობის შენელება და მშვიდობა გავრცელდეს ყველა კონტინენტსა და პლანეტის ყველა რაიონზე.

დეკლარაციის დასასრულს ნათქვამია:

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მთავრობას, ყველა პარლამენტს, ყველა პოლიტიკურ პარტიასა და ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას გამოეხმაურონ ჩვენს მიმართვას და იბრძოლონ დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და ევროპის მშვიდობიანი მომავლის უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა დელეგაციის მოგზაურობა

პეკინი, 30 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სასაზღვრო საკითხების მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკებაზე წარგზავნილმა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. თ. ილიჩოვი, ჩინეთის მხარის მიწვევით იმოგზაურა ჩინეთის მთელ რიგ სამხრეთ ქალაქებში.

დელეგაცია გაეცნო ცალკეულ სამრეწველო საწარმოებსა და სახალხო კომუნებს, ეწვია გუანჯოუს ბაზრობასა და შანხაის სამრეწველო გამოფენას. იგი მიიღეს ქალაქების გუილინს, სუჯოუს, უსისა და შანხაის რევკომების თავმჯდომარეთა მოადგილეებმა.

ქალაქ გუანჯოუში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დელეგაციებმა გვირგვინებით შეამკეს 1927 წლის კანტონის აჯანყების მონაწილეთა საფლავი და საბჭოთა საკონსულოს იმ მუშაკთა ძეგლი, რომლებიც მხეცურად აწამა გომინდანის რეაქციამ კანტონის აჯანყების შემდეგ.

საბჭოთა დელეგაციას მოგზაურობაში ახლდა ჩინეთის მთავრობის დელეგაციის მეთაურის მოადგილე ცაი ხუნ-ძიანი.

□

ქანადიდან გაპაქევეს

ოტავა, 30 აპრილი. (საკდესი). კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. მაკეკენმა პარლამენტში განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოტავის საელჩოს პრეს-ატაშეს წინადადება მიეცა დატოვოს კანადა „დიპლომატის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობისათვის“.

ორი დემონსტრაცია

ნატოს ხელმძღვანელობა ატარებს სამხედრო საზღვაო მანევრებს, რომელიც 13 მაისამდე გაგრძელდება. ნატოს ეს პროვოკაციული ღონისძიება სწორედ იმ პერიოდში მიმდინარეობს, როდესაც პროგრესული კაცობრიობა ზეიმობს მაისის დღესასწაულებს. (ბაზეთებიდან).



გ. ლომაიკის ნახატი.

უცხოელი მწერლები „კომუნისტის“ ფურცლებზე

რისთვის იბრძვის ახალგაზრდობა?

პირველი მაისი საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღესასწაულია. როგორც ყოველთვის წლევანდელ პირველმაისობას კაპიტალისტური სამყაროს მშრომელები, ახალგაზრდობა კლასობრივი ბრძოლის ახალი აღმავლობით ეგებებიან. ისინი თავიანთი სოციალური და სამოქალაქო უფლებების დასაცავად იბრძვიან.

ყოველი წლის გაზაფხულზე სტუდენტები, უმაღლეს სასწავლებლებს რომ ამთავრებენ, იმაზე ფიქრობენ, თუ რა აკეთონ მომავალში. დამთავრდება უკანასკნელი სემესტრი და ისინიც უნივერსიტეტებისა და ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები სხვებთან შედარებით გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდნენ. მაგრამ 1973 წელს, მაგალითად, ბრიტანეთის უნივერსიტეტების ტექნიკურ ფაკულტეტებზე ხუთი ათასზე მეტი ვაკანტური ადგილი დარჩა ღიად. ეს ნათლად ცხადყოფს ახალგაზრდობის განწყობილებას, რომელიც ფიქრობს, რომ ტექნიკური სპეციალობაც კი მას მომავალში კარგს ბედს არაფერს პირდება. მიმდინარე სასწავლო წელს ტექნიკურ ფაკულტეტებზე კიდევ უფრო მეტი თავისუფალი ვაკანტური ადგილებია მოსალოდნელი. სხვათა შორის, უკეთესი მდგომარეობა არც სხვა ფაკულტეტებზეა. შარშან სექტემბერში ოცძალზე სასწავლებლებში მიმღები ცხელტელური საბჭო აღნიშნავდა, რომ სტუდენტთა კონტინგენტი ვერ შეიცვა ინგლისის ხუთეულ უნივერსიტეტში.

„სანდი ტაიმსმა“ ამ დღეებში ვრცელი სტატია დასთაურა ინგლისელ სტუდენტთა შორის ფართოდ გავრცელებული ფრაზით: „ღირს კი უნივერსიტეტში სიარული?“ გაზეთი წერს: „ინგლისის ახალგაზრდობაში შეიმჩნევა იმის ტენდენცია, რომ ეძებონ ნაბ-სმიერი სამუშაო მრეწველობაში, თუნდაც არაკვალიფიციური, ოღონდ კი ხელრიანი გამომუშავება იყოს“.

მეორე სერიოზული პრობლემაა ინფლაცია. ყველა საქონელზე ფასები განუზომლად გაიზარდა. ამ პირობებში, . ცხადია, ყველაზე მეტად მცირე შემოსავლის ოჯახებიდან გამოსულ სტუდენტებს უჭირთ.

არის კიდევ ერთი სიძნელე: საცხოვრებელი ბინა, სტუდენტების მეტი წილი ბინას კერძო ბინათმფლობელთან ქირაობს. ამჟამად პარლამენტში კამათია გამართული იმ კანონპროექტის ირგვლივ, რომლის მიხედვითაც ბინათმფლობელს ისევე ეიოლად შეეძლება მდგმური სტუდენტის თავიდან მოშორება, როგორც შპალერის გამოცვლა. სტუდენტთა ეროვნულმა კავშირმა მკაცრი პროტესტი გამოთქვა ამ კანონპროექტის წინააღმდეგ, მაგრამ, როგორც ჩანს, კანონპროექტი ძალაში შევა.

ჩვენში ზოგიერთები ამბობენ, სტუდენტები მუდამ ჩივიანო. შესაძლოა ეს მართალიც იყოს. მაგრამ მათ აქვთ ამის საფუძველი. ბრძოლა, რომელსაც სტუდენტები — მუშათა შვილები თავიანთი არსებობისათვის ეწევიან, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ბრიტანელი მშრომელების საყოველთაო ბრძოლის შემადგენელი ნაწილია. იგი ისევე აქტიურია, როგორც მოეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშათა ბრძოლა. მათ ებრძობა ავრეთვე ამ სტუდენტთა წაწილი, რომლებიც ბრიტანეთის საზოგადოების საშუალო ფენებს ეკუთვნიან. და ამის გამო მომავალი აგრერიგად უღიმღამო და უსიხარულო აღარ ჩანს.

ჯეიმს ოლდრიჯი,
ინგლისელი მწერალი.
ლონდონი.

ევროპის ეროვნული ფაქტორი

ბერლინი, 29 აპრილი. (ადგილობრივი). ბერლინში ბოლო ორი დღის განმავლობაში ბერლინელ ინტელიგენტებს, ინჟინრებს, ექიმებს, ინჟინრებს, ინჟინრებს, ინჟინრ

კიდევ ერთი განსხვავებული...

შენდება მეტროს ახალი სადგური

ლენინის ჭიჩაზე მშენებარე სასტუმრო „აპარის“ გვერდით, სპორტის სასახლის წინ, მწვანე ხის ღობე აღიმართა — ვიწრო გასასვლელი მხოლოდ ავტომობილებსა და ტროლეიბუსებს დაუტოვეს...

თბილისელები უკვე მეერვინენ ასეთ იერსახეებს „უსერხულობებს“ — ესე იგი კიდევ რაღაც სიახლე ემატება დედაქალაქს. მართლაც, აქ გაჩაღებულია მეტროპოლიტენის ახალი სადგურის — „პოლიტექნიკური ინსტიტუტის“ მიწისქვეშა გადასასვლელის მშენებლობა.

ახალი სადგური არქიტექტურულ-კონსტრუქციული ჩანაფიქრით მკვეთრად განსხვავდება სხვებისაგან — პირველად შენდება ერთთაღიანი სადგური. სამთაღიანებთან შედარებით მას უფრო მარტივი კონსტრუქცია აქვს და ამასთანავე ეს სიახლე გაუმჯობესებს არქიტექტურულ გამომსახველობას. მშენებლობაც ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს და ვადაც მცირდება. ასევე გაცილებით მაღალია ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები — იქნება მეტი თავისუფალი სივრცე და სუფთა ჰაერი, სადგურს ორი ამოსასვლელი ექნება — ერთი ლენინის, მეორე — პეკინის ქუჩაზე.

უკვე აშენებულია სადგურის ორი მესამედი ნაწილი, საგვირაო სამუშაოები 3-4 თვეში დამთავრდება.

მ. ტატიაშვილი.

ჩვენი პატარებისათვის

სეპეისო

ბე, მაისო, მაისო,
ყვავილების თვეო!
თვალი შუქით აგვივსე,
გული გაგვიობეო.
ყველას ძლიერ გვახარებს
მობრძანება შენი.
ახალისებს ბაღნარებს
ფრინველების სტვენით.
ადრიანად მოვსულვართ
ლამაზ ზეიმზეო,
უფრო მეტად გვინათე,
გაზაფხულის მზეო!

ვის რა უნდა

— ჩიტებს რა უნდათ?
— პურის ნაფშვენი.
— ყვავილებს?
— წყალი, კვირტის გამშლელი.
— ანას და ნინოს?
— ქვეყნად რაც არი,
შოკოლადი და ტკბილი ნამცხვარი.

ფარშავანგი

ფარშავანგი ფოფინა
რა ლამაზი ყოფილა!
კუდმარაო გაშალა,
გულს ნათელი მოგვფინა.
მელიამ თქვა — ან ფრინველს
ნეტავ დამამობილა...

რა ჭეოცნებობს ნიანგი

მოწყენილი ნიანგი
წევს მზისგულზე მარტო.
„ნეტავ ფული მქონდესო“,
რახანია ნატრობს.
თქვენ გგონიათ, ბავშვებო,
ბევრი ფული უნდა?
რაღაც ათი შაური,
სულ წკარუნა ბურდა.
— გაზიან წყალს მიირთმევს
ან ცოცავა ნაყინს...
— არა, ამისთანები
მისთვის ჩირად არ ღირს.
— მაშინ მწვადს და ბასტურმას
ან ფუნჩოლა ღვეზელს...
— ხორცის ჭამას ნიანგი
უფულოდაც შესძლებს.
ვერ ისვენებს საწყალი
ერთადერთი ჭავრით —
როდის ვეღირსებით
კბილის ფუნჩოლს და ჭაგრისს!

გივი ჟიჟინაძე.

— როჭოები, იხვები არც წყვილდებიან.

მთელ ზრუნვასა და ინიციატივას ბუდის ასაგებად, კვერცხების დასაჩეკად და ბარტყების აღსაზრდელად თავის თავზე იღებს მხოლოდ მდედრი. გაზაფხულზე ფრთოსანთა ქცევა მკვეთრად იცვლება. ფრინველთა გუნდები იშლებიან და ყველა ფრინველი, გარდა კოლონიურად მობუდარებისა, ცალკე ადგილს იკავებს, სადაც აგებს ბუდეს და ზრდის შთამომავლობას. გამოელ გრუნტზე მობუდარი ფრინველების კვერცხებს ჩვეულებრივ დაცვითი შეფერილობა აქვს. ასე, მაგალითად, ზოგიერთი ღაღლის კვერცხს ვერც გარჩევ ირგვლივ მოფენილ ქვაკენჭებისაგან, ხოლო როჭოსას — მარშანდელი დაცვენილი ფოთლების შეფერილობისაგან. იმ ფრინველთა კვერცხებს კი, რომლებიც ფუღუროებში ბუდობენ, რაღა თქმა უნდა, აღარ სჭირდებათ დაცვითი შეფერილობა, ამიტომ გარეული მტრედები, კოდალები, შომიები, წიწკანები და სხვები ერთფეროვან, ხშირად თეთრ ან ცისფერ კვერცხებს დებენ.

გაზაფხულის პირველმა ჭიჭა-ქუხილმა „ენა ამოადგმევინა“ ზოგიერთ ამფიბიას. მეთევზეებმა იცინა, რომ ბაყაყების პირველ ყიყინზე ქარიყლაპია ქვირითობას იწყებს.

ბუნების კანონთა, მისი „ენის“ ცოდნა დიდ სამსახურს უწევს მებაღეს თუ მონადირეს, ტურისტსა თუ მეთევზეს. ლ. ტოლსტოის ტყუილად როდი უთქვამს — „ბალზაკი და მონადირე ყველაზე კარგად იციან ბუნება“. გამოცდილმა ბუნებისმეცოდნემ ყოველთვის იცის, თუ რას უკარნახებენ მას ბუნების ცოცხალი სიმპატიკოსები. ეს კი ხშირად ძალიან საჭირო. ნამდვილი სიმპატიკოსია ტოროლა. თუ წვიმიან ამინდში ეს ხმაწყვეტილა ფრთოსანი საგალობლად ცაში აიტრება — ეს გამოდარების უტყუარი ნიშანია, გაავდრების წინ კი ფუტკრები გუნდებად იჩქარიან სკებისაკენ, ჭიანჭველები სასწრაფოდ ხურავენ თავიანთ სახლებში ჩასასვლელ ხვრელებს. გამოცდილმა მონადირეებმა კარგად იციან — ტყის ქათამი თუ მიწას ჯიუტად გაკვრია, წვიმაა მოსალოდნელი. ბევრი ფროთხანი გრძნობს უამინდობას. მათ რაღაც საიდუმლო „რადიოლოკატორები“ აქვთ.

საოცარი ბარომეტრი არიან თევზები. დააკვირდით: თუ წყლის ფსკერის განდეგილმა — ლოქომ ზედაპირზე ამოყვინთა, გაზაფხულის წვიმა წამოშხაპუნებს. და ვინ მოთვლის, რამდენ მსგავს სინოპტიკურ გაკვეთილებს გვიტარებს ბუნება. აქ მხოლოდ დაკვირვებული თვალია საჭირო.

გვეწვია ნაირფერ ყვავილებად აფეთქებული ნანატრი მაისი. ზეიმია თბილისის ქუჩებში, თბილისისა, სადაც ასე ლამაზად ჰყვავიან ვარდები და ასე უხვად ანათებს მზე.

არნ. გეგეჭკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ფიდე-ს სამდივნოს იუწუეგაბიგლიოთეკა

კარპოვის მონაწილეობით

გაისად მსოფლიოს 1978 წლის საშაქრაკო პრეველობის ორი საზონთაშორისო ტურნირი უნდა გაიმართოს.

როგორც ფიდე-ს სამდივნო იუწყება, ამ საზონთაშორისო ტურნირებში პერსონალურად მიწვეულნი არიან შემდეგი დიდოსტატები: პეტროსიანი, პოლუგაევსკი, სპასკი, გელერი, ტალი, კუზმინი (საბჭოთა კავშირი), ბერნი (აშშ), მეკინგი (ბრაზილია), პორტიში (უნგრეთი), ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ჰიუბნერი (გფრ) და ლარსენი (დანია), ამ საზონთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის კანდიდატებად ითვლებიან დიდოსტატები სმისლოვი, ბრონშტეინი, ტაიმანოვი, ვაპნიანი (საბჭოთა კავშირი), კავალეკი, ბრატუნი (აშშ), ანდერსონი (შვეცია), სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია).

საზონთაშორისო ტურნირების დანარჩენი მონაწილეები სპეციალურ ზონალურ ტურნირებში შეერჩევიან.

1977 წელს პრეტენდენტთა ასპარეზობაში პერსონალური მონაწილეობის უფლება აქვთ მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ფიშერსა (აშშ) და კორჩნოის (სსრკ).

ფეხბურთის მოვლენებზე

მოსკოვი. გუშინ უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ლუჟნიკში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „სპარტაკი“ და „დინამო“. მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

ერევანი. მონრეალის ოლიმპიადის შესარჩევ მეორე მატჩში გდრ-ის ნაკრებმა ანგარიშით 4:0 დამამარცხა საბერძნეთის გუნდი. მანვე მოიგო პირველი შეხვედრაც — 1:0.

ამსტერდამი. ჰოლანდიის ოლიმპიურმა ნაკრებმა დამამარცხა ლიუქსემბურგის გუნდი — 2:1.

მადრიდი. ესპანეთის ჩემპიონობა მოიპოვა მადრიდის „რეალმა“, რომელსაც იუგოსლავიის სპეციალისტი მილან მილიანიჩი ავარჯიშებს. მადრიდელებმა 11 ქულით გაუსწრეს „სარაგოსას“ კლუბს. გასული წლის ჩემპიონი „ბარსელონა“, რომელშიც ჰოლანდიელი ეარსკელები კრუიფი და ნეესკენსი თამაშობენ, ჯერ-ჯერობით მეოთხე ადგილზეა.

ბაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგის პირველი ზონის მორიგი მატჩები. ი მათი შედეგები: სამტრედიის „ლოკომოტივი“-მახარაძის „მეტალურგი“ — 4:0, რუსთავის „მეტალურგი“-იანგიერის „იანგიერი“ — 1:0, ბორის „დილა“-იანგიარიკის „ხანკი“ — 4:1, ლანჩხუთის „გურია-აშხადის“ სტროიტელი“ — 1:1.

ნაომართა დასახმარებლად

ვიეტნამი. (საკ. კორ.). რაიონში ომის 437 ინვალიდი და შინ მოსულელების 332 ოჯახია. მათ ყოველწლიურად 400 ათასამდე მანეთი დახმარება ეძლევათ. მარტო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ომის 135-მა ინვალიდმა უსასყიდლოდ მიიღო სანატორიუმის საგზური, რვამ — მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“; 85 ინვალიდისა და ომში მარჩენალდაკარგულ ოჯახებს მიეცა ერთდროული დახმარება 1.500 მანეთის ოდენობით, 18-მა ინვალიდმა ურიგოდ შეიძინა ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

იუმორესკა

ქალა თვითკრიტიკისა

მუშა-მოსამსახურეებით გაჭედილ კლუბში ქარხნის დირექტორმა ისეთი თვითკრიტიკა გააჩაღა, რომ ვისაც თავზე ხმა ჰქონდა, ყველას ყალეზე დაუდგა.

— ...დიახ, ამხანაგებო, თორმეტი წელიწადია ამ ქარხნის დირექტორი ვარ! ამ თორმეტ წელიწადში გეგმა ქარხანამ სულ სამჯერ შეასრულა. კმარა, ამხანაგებო, ასეთი სამინელი ჩამორჩენის სხვებისათვის გადაბრალება! პირდაპირ გეტყვით, ჩემი ბრალია ეს! დიახ, ჩემი უთავური ხელმძღვანელობის გამო ვერ ასრულებს ქარხანა გეგმებს წლიდან წლამდე! ჩემი ბიუროკრატიზმის გამო არ ინერგება ახალი ტექნიკა ქარხანაში! ჩემი უხეშობისა და უსულგულობის გამო ქარხანა ზედიზედ დატოვეს საუკეთესო მუშებმა, სპეციალისტებმა! დიახ, სანატორიუმების საგზურებს, ჩემი თავგასულობით, ყოველთვის ულირსებს, უქნარებს, მაგრამ ჩემს მახლობლებს ვუნაწილებდი! პრემიებს ყოველთვის მე ვიჯიბებდი! ბინებს ვურიგებდი იმათ, ვინც თვალებში შემომცეცინებდა და, რაც მთავარია, ღირსეულ პატივს მცემდა! ვინც კრინტს დაძრავდა ჩემს თვითნებობაზე, იმათ სასტიკ საყვედურს ვუხვდებოდი, ხოლო ვინც ხმას იმაღლებდა ჩემი აღვირახსნილობის წინააღმდეგ, ყველას ვხსნიდი! დიახ, ღვინო, ლუდი და ქალები მიყვარდა ძალიან, არც ამას დავმალავ!

ეჰ, ყველაფერ ჩემს ბნელ საქმეებს ერთ კრებაზე ვერც კი ჩამოთვლი, მაგრამ, ამხანაგებო, აი საკაროდ ვაღიარე ჩემი ცოდვები და საჯაროდვე ვაცხადებ, დღეის შემდეგ გამოვსწორდები! დიახ, გამოვსწორდები და ვიმუშავებ ისე, როგორც არასდროს! პირობას ვდებ, რომ გავხდები პატიოსანი, გულმოდგინე, თავმდაბალი, გულისხმიერი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, ალერსიანი, ღიმილიანი და კეთილი დირექტორი!

გაუმარჯოს, ამხანაგებო ჩემს გაკაკაცებას!!!

დარბაზში ტაშმა იქუხა.

შემდეგ სიტყვა აიღო ქარხნის მთავარმა ინჟინერმა.

— ამხანაგებო, მხოლოდ ორი წელიწადია, რაც მე ამ ქარხანაში ვმუშაობ. ამ ორი წლის გეგმა ქარხანამ შეასრულა! ცხრა წლის უიმედო ჩავარდნის შემდეგ ზედიზედ ორი წელი გეგმის შესრულება ჩვენი მომავალი წარმატებების საწინდარია! წლევანდელ გეგმას კი უეჭველად გადავაჭარბებთ კიდეც!

სმები დარბაზიდან:

— შენს თავზე ილაპარაკე!

— ამხანაგებო, საკუთარ თავზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია, ამიტომ...

— შენს თავზე თქვი, შენს თავზე!

— ჩემზე რა უნდა ვთქვა... ორი წლის მანძილზე, რაც მე ქარხანაში მოვედი, გეგმები...

— ეგ უშენოდაც ვიცით!

— თვითკრიტიკა!

— სადაა შენი თვითკრიტიკა!

დაბნეულმა მთავარმა ინჟინერმა ხელები უმწეოდ გაშალა:

— ამხანაგებო, მე ღამეებს თეთრად ვათენებ, ბევრს ვმუშაობ, სულ ამას ვფიქრობ, ჩვენს ქარხანაში როგორ გავაუმჯობესოთ შრომის პირობები, როგორ ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება...

— თვითკრიტიკა!

— რა ვქნა, ამხანაგებო, ლოთი არა ვარ, უხეში არა ვარ, მექრთამე არა ვარ, კარიერისტი არა ვარ! მიყვარს საქმე, ჩვენი ქარხანა, ჩვენი მუშები, შრომა და პატიოსნება! მაგრამ, ამხანაგებო, ამას იმიტომ კი არ ვამბობ, თითქოს ნაკლი არ მქონდეს, არა! აი თუნდაც ცოლი სულ იმაზე მებუზღუნება, თეატრში არ დადიხარო. რა ვქნა, ბოლო ორ წელიწადში მართლაც სულ სამჯერ ვიყავი თეატრში, ისიც ერთხელ საზეიმო სხდომაზე, მეტი ვერ მოვასწარი. ეგ კიდევ ნახევარი ცოდვაა იმასთან რომ აგერ წელიწადსახევარი გავიდა, რაც უკანასკნელად „ვეფხისტყაოსანი“ წაკითხული და ვერ მოვახერხე ისევ წამეკითხა. სხვა ნაკლიც ბევრი მაქვს...

ეჰ, ბარემ ჩემს მთავარ ცოდვასაც გაგიმხელთ, — თბილისის „დინამოზე“ ვფიქრობ ამ ხნის კაცი. რაც მე ჩვენი ფეხბურთელების გამო ბულისხეთქვა და ვაივიში გადამიტანია, მიკვირს, რითი ვარ ცოცხალი. სირცხვილით ეიწვი, მაგრამ ვადიარებ, რაც „დინამოს“ გულშემატკივრობაში ენერგია დამიხარჯავს, ის რომ ქარხნისათვის მომეხმარებინა, კიდევ უფრო წინ ვიჭენდიდით.

მთავარმა ინჟინერმა სიტყვა დაამთავრა.

დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა.

კრებაც მალე დამთავრდა.

მეორე დღეს დირექტორმა დაწერა ბრძანება, სადაც აღნიშნული იყო, რომ თვითკრიტიკის სრული უგულებელყოფისათვის ქარხნის მთავარი ინჟინერი მოიხსნას დაკავებული თანამდებობიდანო.

ჰოი, უფალო, ჭეშმარიტად დიდი არს ძალი თვითკრიტიკისა!

ზურაბ რატიანი.

ომგადახდილნი უამბობენ

საამაულო ომის ვეტერანი, გვარდიის გადამდგარი პოლკოვნიკი ბ. ბამზარდია ესაუბრება ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის ნორჩ მოციქულებს.

ხ. კილაძის ფოტო.

დასავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია დაბლობ რაიონებში 16-20, მთა რაიონებში 8-13 გრადუსის ფარგლებში, რაც ნორმას უახლოვდება მცირე დადებითი გადახრებით.

1-10 მაისი — ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის პირველ ნახევარში ხანმოკლე წვიმა. რაიონის ზღვისპირა დეკადის მეორე ნახევარში იქროლებს წამში 15-18 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 24-29, მთა რაიონებში — 15-20 გრადუსი იქნება.

11-20 მაისი — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 25-30, მთა რაიონებში — 20-25 გრადუსი.

21-31 მაისი — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნავარაუდევია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. რაიონის ზღვისპირა დეკადის დასაწყისში იქროლებს წამში 15-21 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 25-30, მთა რაიონებში 22-27 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 15-18, მთა რაიონებში — 8-12 გრადუსის ფარგლებში, რაც ნორმას მიახლოებულია მცირე დადებითი გადახრებით.

ნალექების თვიური ჯამი კახეთში შეადგენს 130-180 მმ-ს (ნორმაზე მეტი), დანარჩენ რაიონებში — 40-100 მმ-ს, რაც ნორმაზე ნაკლებია, ზოგიერთ რაიონებში კი ნორმას მიახლოებული.

1-10 მაისი — ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის პირველ ნახევარში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. გორი-ხაშურის რაიონებში დეკადის ბოლოს იქროლებს წამში 15-18 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 20-25, მთა რაიონებში 13-18 გრადუსი იქნება.

11-20 მაისი — ცვალებადი მოღრუბლულობა, ღრუბლიანი ნავარაუდევია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 24-29, მთა რაიონებში 15-20 გრადუსი იქნება.

21-31 მაისი — ცვალებადი მოღრუბლულობა. ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, კახეთის რაიონებში ალაგ-ალაგ სეტყვაა მოსალოდნელი. დეკადის ბოლოს იქროლებს წამში 15-18 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 24-29, მთა რაიონებში 15-20 გრადუსი იქნება.

ა. იმნაძე,
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ბინოპტიკოსი.

რას გვპირდებიან სინოპტიკოსები

იზეიმეს ახალმოსახლეობა

ტყიბული. (საკ. კორ.). ამ დღეებში ლენინის სახელობის მაღაროს დასახლების ცენტრალური უბანი კიდევ ერთმა ხუთსართულიანმა საცხოვრებელმა სახლმა დაამშვენა. აქ სამოცმა ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა. მოწინავე მუშებმა ვ. ცირეკიძემ, ხ. სიმონიანმა, ვ. ტყეშელაშვილმა და ვეტერანმა პენსიონერმა მეშახტემ ე. დალუბარიძემ სამთათასიანი კომფორტული ბინები მიიღეს. ახალმოსახლეობა მიუღოცეს აგრეთვე დიდ სამამული ომში დაღუპული მეომრების მეუღლეებს თ. რაზმაძეს, ნ. ბარდაველიძეს და სხვა ოჯახებს.

ტყე გადაარჩინეს

ლენინგორი, 30 აპრილი. (საქინფორმის კორ.). ლენინგორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორეებმა ოთარ ტაგიევმა შენიშნა, რომ სოფელ ნაგომეევოსენ ტყე იწვოდა. მან ეს სასწრაფოდ აცნობა თანასოფლელებს. სოფლელებმა ენერგიული და უნარიანი მოქმედებით ჩააქრეს ხანძრის კერა და ტყე დაღუპვას გადაარჩინეს.

„ვეფხისტყაოსანი“ წაკითხული და ვერ მოვახერხე ისევ წამეკითხა. სხვა ნაკლიც ბევრი მაქვს...

ეჰ, ბარემ ჩემს მთავარ ცოდვასაც გაგიმხელთ, — თბილისის „დინამოზე“ ვფიქრობ ამ ხნის კაცი. რაც მე ჩვენი ფეხბურთელების გამო ბულისხეთქვა და ვაივიში გადამიტანია, მიკვირს, რითი ვარ ცოცხალი. სირცხვილით ეიწვი, მაგრამ ვადიარებ, რაც „დინამოს“ გულშემატკივრობაში ენერგია დამიხარჯავს, ის რომ ქარხნისათვის მომეხმარებინა, კიდევ უფრო წინ ვიჭენდიდით.

მთავარმა ინჟინერმა სიტყვა დაამთავრა.

დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა.

კრებაც მალე დამთავრდა.

მეორე დღეს დირექტორმა დაწერა ბრძანება, სადაც აღნიშნული იყო, რომ თვითკრიტიკის სრული უგულებელყოფისათვის ქარხნის მთავარი ინჟინერი მოიხსნას დაკავებული თანამდებობიდანო.

ჰოი, უფალო, ჭეშმარიტად დიდი არს ძალი თვითკრიტიკისა!

ზურაბ რატიანი.

ფიდე-ს სამდივნოს იუწუეგაბიგლიოთეკა

დეგიუტანტები კვლავ ლიდერობენ

რესპუბლიკის პირველობის მეორე ტურში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდმა დიდი ანგარიშით 7:1 მოიგო ცხაკაიას „ეგრისს“ და გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი გახდა. გუნდმა 13 ქულა მოაგროვა. ფრედ — 1:1 დამთავრდა ლიდერების — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფოთის „კოლხეთის“ შეხვედრა. სტუდენტებს 12 ქულა აქვთ, ხოლო ფოთელებს — 11.

11-11 ქულა მოაგროვა აგრეთვე სამმა გუნდმა — წულუკიძის „იმერეთმა“, სოხუმის „დინამომ“ და თელავის „კახეთმა“. ამ ტურში იქნები შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

ამრიგად, პირველი ჯგუფის ორი დებიუტანტი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის უნივერსიტეტის გუნდები კვლავ ლიდერობენ გათამაშებას. (საქინფორმი).

სადღესასწაულო აფიშა

ტელევიზია

1 მაისი

პირველი პროგრამით

09.45 — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისისადმი მიძღვნილი გადაცემები თბილისიდან და მოსკოვიდან, 13.00 — ფერადი ტელევიზია. საზეიმო პიონერული კონცერტი, 13.30 — დოკუმენტური ფილმი „ერთობა“, 14.25 — ბავშვებისათვის საზეიმო კონცერტი, 14.55 — ნახატი ფილმები, 15.45 — დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი. სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „დიდი სამამულო ომის ხსოვნა“ მეოთხე სერია. პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.45 — ფერადი ტელევიზია. მუსიკალური ესტაფეტა „ამხანაგი სიმღერა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — ფერადი ტელევიზია. 1975 წლის მსოფლიოს უძლიერეს მოციგურავეთა საჩვენებელი გამოსვლები (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ეგზაფხული ჩვენს ქვეყანაში“, 19.15 — კონცერტი „საგზაფხულო“, 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — ფერადი ტელევიზია. „ცისფერი ეკრანი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — ფერადი ტელევიზია. საპირველმაისო ზეიმის რეპორტაჟი (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.30 — ფერადი ტელევიზია. „ცისფერი ეკრანი“ გაგრძელება (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის ქართული მხატვრული ფილმი „ცეროდენა რაინდები“, 19.15 — კონცერტი, 20.00 — მხატვრული ფილმი „კავკასიელი ტყვე ქალი“.

რადიო

2 მაისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — პოპულარული ქართული მუსიკა, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — ქართული ხალხური მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — „რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — მსუბუქი სარკვესტრო პიესები, 12.00 — საუბარი „დიადი საბრძოლო თანამეგობრობა“, 12.15 — „საკონცერტო ესტრადაზე“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.15 — მ. ბოლანტერი. სიმღერები, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 14.10 — ნ. როდიტსტეინსი. „რეკვიემი“, 14.35 — ვ. დოლიძე, ოპერა „ქეთო და კოტე“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ლილეო ეთეროსი“ (პრემიერა), 18.10 — კონცერტი — თქვენი თხოვნით, მეგობრებო, 19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „არარატი“ (ერევანი) — „დინამო“ (თბილისი). რეპორტაჟი ერევნიდან, 19.45 — მსუბუქი მუსიკა, 20.00 ხუთწლედის დამკვრელური შრომა, 20.20 — ქართული ხალხური პიესები, 20.45 — რადიოდადგმა ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ჰაკი აძბა“, 22.00 — მ. ამირანაშვილისა და ზ. ანჯაფარიძის კონცერტი, 23.30 — „უკრანის მელოდიები“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

1 მაისი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ტრაბალდორ**; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **სხვისი შვილების მამა.**

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი ეყიდება ხვალ 2 მაისს.

რედაქტორი
დ. მგელიშვილი.

სიმართლე ხუმროვით



დედიკო დავუჭახო? ვაითუ მამიკოა?!

მოხერხებული სიძე.

ამ ქაქეს ქვედაბოლო არ მოკაოლია, შვილო?

უსიტყვოდ.

მხატვარი გ. შირცხალავა.

მხატვარი ა. ერაძე.

კომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-08, 99-93-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10 განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მოეწყვლობის — 93-20-34, ხოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-14-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЗ 03704

საქ. კპ ც.კ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ჩვენი მისამართი და ტელეფონები